გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად დაკერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

ტფილისი, 20 მაისს

კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში. გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილ-დღეობას, უკან აუენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია; დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხოვრების განკარგებისათვის კარგად შეკეთებული გზები, და ამიტომ დიდს ყურადღებასაც აქცევენ ამ საჭიროებას...

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილ-დღეობას, არა ნაკლები ადგილი უჭირავს ამ უკანასკნელ გარემოებასაც, ე. ი. რიგიანად მოწყობილ და მისვლა-მოსვლის გასაადვილებელ გზების სიმრავლეს. ამ გზების სიმრავლეს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ ეკონომიური ცხოვრება ასე წინ არის წასული ზემოდ ნათქვამ ქვეყნებში.

მგონი, არც ერთს ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოს. ჩვენი ქვეყანა თვითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია; გაზაფხულობით მთებიდამ მოვარდნილი ნიადვრები სრულიად აფუჭებს, ჭხრამავს იმ საცოდაობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორობა, აღმართ-დაღმართი, ოდრო-ჩოდროები, ჩახრამული ადგილები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელებენ ხალხს ურთი-ერთ შორის მისვლა-მოსვლასა. სხვა ჩვენ მიყრუებულ, მთებში გადავარდნილ ადგილებზე რომ არა ვსთქვათ-რა, ავიღოთ მაგალითად თუ გინდ კახეთი. ეს მშვენიერი, ყოველის სიმდიდრით ბუნებისაგან უხვად შემკული მხარე ჩვენის ქვეყნისა რიგიან გზა-ტკეცილსაც კი მოკლებულია, რკინის გზაზე ხომ ვინღა რას ამბობს. ესრედ წოდებული კახეთის გზა ისეთ გახრიაკებულ, უადგილო-ადგილას არის გაყვანილი, ისეა მოშორებული სოფლებზე,—გულითადაც რომ ჭსურდეთ, სოფლელები ამ გზაზე ვერ წამოვლენ და ისევ ძალა-უნებურად თავიანთი ძველებური უსწორ-მასწორი გზები უნდა ირჩიონ. აი რამდენი ხანია დაწყობილია მეორე კახეთის გზა გომბორზე და აქამდინ სისრულეში ვერ არის მოყვანილი. ამ უგზოობის გამო კახელებს უძნელდებათ ხეირიან ფასად გაასაღონ თავიანთ ნაშრომ-ნადვაწი; ბევრი სოფლის ნაწარმოები ხომ სრულიად უბრალოდ იდუპება და ლპება მხოლოდ იმის გამო, რომ უგზოობის მიზეზით შორს წაღება ყოვლად შეუძლებელია და ახლო-მახლო კი ფასი არა აქვს. მაგალითად, რამდენ ხილეულობას, ბოსტნეულობას და სხვა ამ გვარ წვრილმან ნაწარმოებს, რომელიც ასე უხვად მოდის კახეთში, გასავალი ექნებოდა ქალაქში, რომ კარგი გზები იყოს და ჩამოტანადა ღირდეს. ეხლა კი ტყუილ-უბრალოდა რჩება, ვერც პატრონი სარგებლობს და ვერც სხვა.

თვითონ ჩვენი ხალხი რომ კარგად ჭვრძნობს დიდს გაჭირვებას გზების უქონლობის გამო, სწუხს და სურვილს აცხადებს, რომ ამ გაჭირვებას რითიმე უშველოს, ამას ცხადად გვიმტკიცებს შავი ქვის მრეწველების მაგალითი. აი მრეწველებს რა უთქვამთ მის ბრწყინვალეებისთვის, კავკასიის მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისთვის, როცა მას ყვირილაზე ჩამოუვლია: „წინადაც გთხოვეთ და ახლაცა გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნებიდან შავი ქვის გადაზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადმოზიდვის ქირამ ძალიან აიწია; გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რკინის გზა გაიყვანონ ს. ჭიათურამდის.“

ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ მის ბრწყინვალებამ დიდის თანაგრძნობით მოისმინა თურმე შავი-ქვის მრეწველების თხოვნა და შუამდგომლობა და შეწევნაც აღუთქვა. ღმერთმა ქნას, რომ ეს მაგალითი პირველი და უკანასკნელი არ იყოს. ჩვენ ხალხს კარგად ესმის გზების სარგებლობა, წინადაც უგისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზათ არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყვანდეს.

ახალი ამბავი

*** ორშაბათს ტფილისის საქალაქო საბჭოში განიხილეს საყასბოს გადმოტანის საქმე. აგერ შვიდი-რვა წელიწადია რაც ძველი საყასბო თათრის მეიდნიდგან გადიტანეს მანთაშოვის ადგილში, ნაეთლულს, ხუთი-ექვსის ვერსის სიშორეზე. საყვედური მაშინათვე ისმოდა, რომ ხორცი ფუჭდება გზაზე, თვით ადგილი ცუდია, წყალზე მოშორებულიო. ყველა ჩიოდა და სჩიოდა: თვით ყასბებიც, გამყიდველებიც, მყიდველებიც. ამის გამო ამ შვიდ-რვა წელს ათიოდჯერ კამისიები შეადგინეს, რომ ადგილი მოსძებნონ ქალაქს ახლოს და უკეთესი. ყველა კამისიები კრწანისს ასახელებდნენ, მაგრამ რაღაცა უბედურება ემართებოდა ამ კამისიების აზრს. ყოველთვის რჩევა არაფერს დასკვნას არ ადგენდა. ბოლოს ამ უკანასკნელს ხანში კიდევ ახალ კომისიას მიენდო, გასინჯოს მირზოევის ქარხნის გვერდზე ადგილი. კომისიამ მოიწონა. მაგრამ დიდი სჯა იყო და დიდი შეხეთქება ორ დასს შუა, მანთაშოვის და მირზოევის ადგილების მომხრეებისა. ორატორებში მანთაშოვისკენ იყვნენ ბ. ალ. ჩოლაყაშვილი და ალიხანოვი, მირზოევისკენ—ბ. შახპარონიანცი და იავანგულოვი. უფრო ბევრი საბუთი მირზოევის მხრივ იყო და ამიტომ დიდის ხმის უმეტესობით ქალაქმა გადასწყვიტა საყასბოს გადმოტანა მირზოევის ადგილზე. ასრულებამდე ბევრი საქმეა და ჯერ კიდევ კაი ხანი გაივლის.

მეორე საქმე—მუხრანიანთ ხიდის გადებაა მტკვარზედ. თუმცა ქალაქს თავისუფალი ფული აქვს 112,000 მან. და წინად ამ ფულით სდომებია ხიდის გაკეთება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ფული წყლის გამოყვანას ქალაქში და საყასბოს გამართვას ძლივს პირს მოსწმენდსო. ამიტომაც ქალაქის საბჭო იმაზედ დამდგარა, რომ ხიდის გაკეთებისათვის იმისთანა კაცი იშოვოს, რომ ხიდი თავისის ფულით გააკეთოს და ხიდის შემოსავალი რამდენისამე წლით თავისა და სარგებელში აიღოს.

*** კვირას, 18 მაისს არწრუნისეულს თეატრში ჩარსკის დასმა წარმოადგინა «ჰამლეტი». ხალხი წარმოდგენას მეტად ცოტა დაესწრო, წარმოდგენაზე ვერც ერთს რუსულის მწერლობის წარმომადგენელს, ვერც ერთს რუსის ინტელლიგენტთაგანს ვერ შეხვდებოდით. მოთამაშეთა თაიგულები და დაფნის გვირგვინები მიართვეს. წარმოდგენის შემდეგ ქარ. დრამატ. დასის არტისტებმა მოიწვიეს რამდენიმე მათგანი და არწრუნისეულს ბაღში ვახშამი გაუმართეს. ვახშამზე თითქმის ოც-და-ათი კაცი დაესწრო, სხვათა შორის, ზოგიერთნი ქართულის მწერლობის წარმომადგენი, ვით ვაქო, ვით ვაქო, რომ ენა
ოცნებისაგან ბმულია?!.
ეს საოცრება რამ შექმნა?
ამართა ვისმა ძალამა?
ცას ვინ ამოყვრა ვეშაპი,
ან წარღვნამ რად არ წალამა?..
ქედს უხრი კავკასიასა,
დიდებულს—ჩემგნით დიდება!
ქედს უხრი, რადგან სულს და გულს
თავისკენ მიეზიდება!
უმზირეთ! კავკასის მთანი
ცის კამარასა ჰსწვდებიან,
ყინვარის ჯავშნით მოსილნი,
ბარს დანთქვას ემუქრებიან!
ახლავან ორბნი, არწივნი,
ჯიხვებიც ეხიზნებიან
და ხშირად შავნი ღრუბელნი
მოჰბურვენ, ესტუმრებიან;
მაშინ ელვანი მრისხანედ
გრგვინვენ და იკლაკნებიან,
მათს ჭექა-ქუხილს კლდე-ღრენიც
საზარლად ეძრახებიან!
ინათებს, ღილის მზის სხივზე,
ღრუბლები აიყრებიან,
აქ დაიბერტყენ კალთებსა:
თვალ-მარგალიტი ჰკრთებიან!
შეჰყურებ, თხემნი კავკასის
ისევ სპეტაკად ჩნდებიან
და მედიდურნი, ტურფანი,
ლაჟვარდს ცას ებჯინებიან!

თ. რაფ. ერისთავი

ფელეტონი

კავკასია

რას ეხედავ უზარ-მაზარსა?
შავსაქერი დადუმებული,
ცას ესწორება თხემებით
მთა-მთაზედ აყუდებული!
აქ ლოდი, სიპი, პიტალო
სატანას მოუთრევია,
კაჟი, ქვა, ქარწბი, კარკალი
შეუძრავს, შეურყევია.

ასვრილა მიწა კენჭებში
და გოხის მონანგრევია,
ესენი, ნუ თუ ჯოჯოხეთს
ურთ-ერთში აურევია!
მთა-მთაზე, გორა-გორაზე
შეუსვავს, დაუკვერცხია,
მზეს უხრავს მათი გვერდები,
ნიაღვარს ჩაურეცხია!

მოჰსხმიათ ნაძვის ძაგარი,
სპეტაკის ჩადრით მოსილან,
მათი ხევ ხუეი, ღრადონიც,
ვეჭვ ქარ-გრიგალმა მოჰსილა!
აგია კავკასიის მთა,
ტურფა და დიდებულია,

სამაგალითო ომი მეფე ერეკლესი სპარსეთის შაჰ აზატ-ხანთან ერევნის ახლო

(გარნიჩაიზე) 1752 წ. ივნისს.

აზატ-ხანი ავღანელი ხანი იყო განთქმულის ნადირ-შაჰის დროს (1732—1747 წ.). მან ისახელა თავი თვისის ავღანელებით ნადირ-შაჰის ძლევამოსილ ბრძოლაში. როდესაც შაჰ იბრაჰიმის (ნადირ-შაჰის მემკვიდრის) სიკვდილის შემდეგ 1747 წ. სპარსეთი აირივ-დაირია, აზატ-ხანი თვისითა გაწვრთნილ ავღანელთ ჯარითა შეევიდა სპარსეთში, დაიპყრა უმეტესი ნაწილი სპარსეთისა, მთელი აღერბეიჯანი (ძველი მიდია), და თვით დედა ქალაქიც სპარსეთისა თეირანი. 1751 წლის დამლევს გაძლიერებული აზატ-ხანი დიდ-ძალის მხედრობით, თითქმის ორმოც ათას კაცამდე (რუსის მემატიანის ბუტკოვის აზრით კი, ჯარი 30,000 კაცი იყოო) საქართველოს სამზღვრებზე გარდავიდა და მიუსია მოწინავე ჯარი მუსა-ხანის წინამძღოლობით ერევნის ქალაქს, რომელიც მაშინ მეხარკე იყო ქართველთ მეფისა. განჯა და ყარაბაღიც ხარკს აძლევდა მაშინ საქართველოს. შეჭირვებულთ ერევნელთ მისწერეს მეფე ერეკლეს: «ვინაიდგან მიიღებთ ხარკსა და ვართ მორჩილებასა ქვეშე თქვენსა, გაქვსთ ვალი და თანამდებობა, რათა განგვათავისუფლოთ ესე ვითარისა მძლავრის ხელისაგან» და სთხოვეს, მოგვეშველეო. მეფე ერეკლე სამი ათასის ჯარით დაუყოვნებლივ მიეშველა ერევნელთ (სხვა ჯარსაც ელოდა ქართლიდგან). მაგრამ სანამ ერეკლე შემწეობას მისცემდა ერევანს, ავღან-სპარსელებს დაეპყრათ მთელი ერევნის სახანო და ყარაბაღი და თვით ერევანს გარ-შემორტყმოდნენ, მხოლოდ ეჩმიაძინი-ღა გადარჩენოდა მტერს. ერეკლეს მოსვლა რომ გაიგეს მტრებმა, მოერიდნენ ქართველებთან ბრძოლას; მუსა-ხანმა პირ-და-პირი ომი ვერ გაჰბედა ერეკლესთან და აჰყარა ჯარი ქალაქის ზღუდითგან. დამშეულნი ერევნელნი ციხიდგან გამოვიდნენ და ერეკლეს მადლობა გადუხადეს. მეფემ აავსო სურსათითა ქალაქი (ათი ათასი კოდი პური გაუგზავნა ქალაქელებს) და თვით ერევნის ახლო, ყარაბულაღის მაღლობებზე დადგა (ყარაბულაღი 12 ვერსზეა ერევნიდგან, შვენიერი ჰავა აქვს და კარგი საგრილობელი ადგილია). აქედგან დაუწყო დევნა ერეკლემ სპარს-ავღანელებსა და არეზის (არაქსის) გაღმა გაჰყარა მტრები.

ეს ამბავი შეიტყო აზატ-ხანმა, განძვინდა და, რა გაიგო სიმცირე ერეკლეს ჯარისა, განიზრახა სრულიად მისი ამოწყვეტა და საქართველოს დარბევა. ამ აზრით მან ჩქარად შემოიკრიბა მთელი თვისი ჯარი ორმოც ათასამდე (ამათში 12,000 შუბოსანი), 24 ზარბაზნითა და ორასის ზამბულაკით (фалконетъ). ზამბულაკები აქლემებსა ჰქონდა აკიდებული (თითო აქლემს ორ-ორი ზამბულაკი). ამ ჯარით აზატ-ხანი მსწრაფლად მოადგა ერევანს და საღამო-ჟამს გარნიჩაის ნაპირებზე დაბანაკდა, ერეკლეს ბანაკიდგან ოცს ვერსზე. ეს ამბავი იყო ივნისს, 1752 წელს. მეორე დღეს უნდოდა უეცრად თავს დასხმოდა ქართველებს. გაიგო ეს ქართ-

ნელნიცა. ქართულმა ლხინმა ჩვეულებრივად იჩინა თავი. ყოველ სადღეგრძელოს ზედ მოჰყვებოდა დუდუკის ხმა და მრავალ-ჟამიერი. სიმღერას თან მოჰყვა ლეკურიცა. დილის 5½ იქნებოდა, რომ სუფრიდგან აიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ, როგორცა სჩანს, ქართული არტისტები აფასებენ სხვის ნიჭს და პატივსა სცემენ თავის ხელობას.

*** იმის გამო რომ ცხენის-რკინის გზაზედ ხშირად არის სხვა-და-სხვა გვარი უწესობება და ამითი ქალაქის მცხოვრებლები სწუხდებიან, ტფილილის ქალაქის გამგეობას ამ გზის გამგეობისათვის უთხოვნია, რომ შემდეგი წესები შეასრულოს ხოლმე: 1) ერთი-და-ერთი რიგზე მოიყვანოს და განარკვიოს, თუ რამდენი კაცი უნდა ჯდებოდეს ყოველ მატარებელში, რომ გადაწყვეტილ რიცხვზე მეტი კონდუქტორებმა აღარ დასხან, და მატარებლის ავსება ამისთვის გაკეთებულ ცალკე განცხადებით გამოაცხადონ; 2) აღიკრძალოს მატარებლის აქეთ-იქითა საფეხურზედ დგომა და ნება მიეცესთ მხოლოდ ორ-ორის კაცის დაყენებისა მატარებლის თავსა და ბოლოში; 3) აღეკრძალოთ შიგ მსხდომთ სკამებზე ზურგის-მისაყუდებელის დაძერა და გადაბრუნება, რომელთ გადაბრუნებაც კონდუქტორის მოვალეობაა; 4) როდესაც ვინმე აპირობს მატარებელში ასვლას და ან იქ მჯდომი ჩამოსვლას, სიარულს მოუკლონ ცოტა და უეჭველად გააჩერონ მოხუცისა, ავად-მყოფებისა და ქალების მისაღებად და ჩამოსასვლელად; 5) ნება არ მიეცესთ შიგ მსხდომთ გინებისა და საზოგადოდ ყვირილისა და ამისთანა პირნი პოლიციის შემწეობით იქმნენ მატარებლიდგან გადმოყვანილნი, თუ ნებით არ ისურვეს გაჩუმება და მატარებლიდგან გადმოსვლა, და 6) ვალად დაედვათ მატარებელზე მყოფ მოსამსახურეთ, რომ თავაზითა და პატივით მოეპყრან საზოგადოებას.

*** ვაჭრობის ზედა-მხედველი ბ-ნი ყორღანოვი ყოველ-დღე ახალ-ახალ სიყალბესა და უწესოებასა ჰპოულობს ჩვენის მოვაჭრების სასწორსა და გირვანქიანებში. ამ ორ-სამ კვირაში იმდენს აღმოაჩნდა ყალბი გირვანქიანები, თითქო მთელი ქალაქი სულ ყალბობით ვაჭრობდესო და აღებ-მიცემობდესო. აი კიდევ ახალი სიყალბე: ქალაქის ვაგზალის პირ-და-პირ მოვაჭრე სტეფან მაჩაიძეს ჰქონია ყალბი გირვანქიანები, ერთს გირვანქიანს ⅛ ჰკლებია და მეორეებს ცოტა ნაკლები. ეს გირვანქიანები დაიბეჭდა და მაჩაიძეზე კი საჩივარია შეტანილი. მიხეილის ქუჩაზედ მოვაჭრე მეფურნე მარტიროზ ვართანოვს აღმოაჩნდა გამგეობისაგან ბეჭედ-დაუსმელი სასწორი და გირვანქიანები და იმავე ქუჩაზედ, მირიმანოვის სახლებში მოვაჭრე გრიგოლ ბეჭანოვს უპოვნეს ყალბი ფრანგული გირვანქიანები, რომელნიც ბურღით იშლებიან თურმე და შუაში ცარიელი ადგილია. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ეს საქმე მომრიგებელ-მოსამართლეს გადასცეს

*** ივრის-ხეობაში სს. საგარეჯოსა, გიორგი-წმიდასა და პატარძეულ-ბერთუბანში ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელებულა რკინის გუთნები გენესი. ხაშმში და გარე-კახეთის სოფლებში ძალიან იშვიათად შეხვდება კაცი ამ გვარს გუთანსაო. სულ ზემოხსენებულ სოფლებში ოცდა-ათ რკინის გუთნამდე იქნებაო.

*** საგარეჯოდამვე გვწერენ, რომ სათიბი ბალახი უკვე მზად არისო. სათივე ბალახთან ერთად შემოვიდა ქერებიცაო და დღე-დღეზედ გასაჭრელიაო. ჩვენ მხარეზე კი ძალიან ნაკლებად იშოვის კაცი მუშასაო. თუ იშოვის კიდევ ისე დიდი ფასი უნდა მისცეს, რომ ბალახი თიბვად არა ღირს და ქერი მომკადაო. ისეთი დროც გვინახავს, რომ მანათ ნახევარი ყოფილა დღეში მუშაო და ლამის წელსაც ამოდენა ფასი დაიძახონო, რადგან ყველა ეჩქარება თივაც მოსთიბოს და ქერებსაცა და ყანებსაც მოუაროსო. მაგრამ იქნება მანათ-ნახევარიც რომ გაიტანო, ვერ იშოვო. დღიური მუშაო და ძალა უნებურად მინდორში ჩაიწვას სათივე ბალახიცა და ქერებიცაო. აქამდე კიდევ ქიზიყელები მოდიოდნენ და ისინი მუშაობდნენ ჩვენში ღღიურადაო და წელს კი ისინიც არ მოვლენ, რადგან ქიზიყში კარგის მოსავლის ხმა ისმის და თავის საქმესაც ვერ აუვლენ ქიზიყელებიო. ქართლს ამ მხრივ ისა შველის, რომ მთის ოსები ახლო არიან და იაფად მუშაობენ ზაფხულობით, გაჭირების დროს, როცა ცეცხლის პურის ჭამაა ხოლმეო. ამას გარდა ქართლი ჰსთიბავს ჭირნახულსა ცელითა და ჩვენ გარე-კახელებს კი ეს არ შეგვიძლიანო. ქართლში იშვიათად არის სახნავ-სათესი მინდორი კალოდგან ერთის ვერსის მანძილზეო, ჩვენში, გარე-კახეთში კი მინდორი ორსა, სამსა და ოთხს ვერსზეა და თიბვა ჭირნახულისა ცელით და ზიდვა კალოსთან ძნად შეუკვრელის ბულულისა, როგორც ქართლში იციან, ყოვლად შეუძლებელია და ყოვლად საზარალოცაო. ამას გარდა ჩვენში ისეთი ყანები და ქერები იცის, რომ შიგ თითქმის კაცი იმალებაო, რადგან ბუნება და ნიადაგი მეტად მდიდარია, ხელ-უხლებელი და რასაც დასთეს გიჟდებაო. ამ გვარად გაზდილს ჭირნახულს მაღლა უნდა მკა, რომ ნაწვერალად ერთი ჩარექი ღერი კი არ დარჩეს, არამედ არშინი და არშინ ნახევარი, რომ გალეწვა არ გაძნელდეს ნამჯისაო. ცხადია, რომ ამ ნაირის ჭირნახულის გათიბვა არ გამოდგება, მით უფრო რომ გარე-კახეთში იშვიათად დაგვჭირდება ხოლმე ბზე, რომელსაც ქართლში ხმაროობენ და დიდი გასავალიცა აქვს. ჩვენში ისეთი ზამთარი იცის, რომ დღისით საქონელი სულ გარეთ არის და ჭიჭო ბალახით იკვებებაო.

*** ბაქოდგანა სწერენ, როგორც უკვე შეტყობინებული გაქვთ, სპარსეთის მართებლობამ აღკრძალა სპარსეთის სამზღვრებიდგან პურის გატანა სხვა სახელმწიფოებში. ეხლა, გაზ. **«Каспи»-ს** სიტყვით, ზოგიერთა პირის შუამდგომლობით სპარსეთის მართებლობას **20** დღე მიუცია ვადა, რომლის განმავლობაშიაც შეუძლიანთ თავისუფლად გაიტანონ პურიო. ამ ვადით ისარგებლეს და მოვაჭრებმა პურის გამოტანას მოუჩქარესო. მაგ., სამის დღის განმავლობაში ბაქოში სამი გემი მოვიდა, რომელზედაც 100,000 ფუთი პური იყოვო.

*** ქალაქის გამგეობას ჰსურს დანიშნოს ერთი ინჟინერი ბელგიაში გასაგზავნად, რომელმაც იქ შეკვეთილი წყლის-გასაყვანი მილები უნდა ჩაიბაროს და წყლის გაყვანისათვის საჭირო მაშინები შეუკვეთოს «კოკერილის» ქარხანას. «კავკაზი»

*** სართიჭალიდგან იწერებიან, რომ 11 მაისის სეტყვამ ფოსტის სადგურ ვაზიანის ახლო-მახლო 7 ოთხკუთხი ვერსი ნათესი გააფუჭაო. ეს ყანები მარტყოფის საზოგადოებას ეკუთვნისო. ამას გარდა სეტყვამ 20-მდე სხვილი საქონელი და 11 ცხენი დაჰხოცაო. ზარალი 3,000 მანათამდე იქნებაო. «ახ. მიმოხ.».

შეცდომის გასწორება

„ივერიის“ მე-105 №-ში „ახალ ამბებში“ და აგრეთვე 106 №-ის მეთაურ წერილში შეცდომით იყო ნათქვამი 10,500 ცხვარი დაიღუპა ორხევთან 20,500 ცხვრიდამაო. ცხვარი სულ ყოფილა 2,500 სული და დაღუპულა ხევში 1,500 სული.

დრამატიულ საზოგადოებაზე

ხუთშაბათს დრამატიულს საზოგადოებას საგანგებო კრება აქვს მომავალის წლის შემოსავალ-გასავალის თაობაზე. რას აპირებს ეს ჩვენი საზოგადოება მომავალში, რა აღნიშნული გზა აქვს გამორკვეული თავის განზრახვისა და წადილის ასრულებისათვის, რის იმედი აქვს და რა დაბრკოლება ხვდება თავის აზრის ასრულების გზაზე,—უნდა აგვიხსნას და განგვიმარტოს საზოგადო კრებამა და მისმა მმართველობამა.

დღეევანდლამდე დრამატიულის საზოგადოების ყოფნა, მეტად მიყუჩებული იყო. პირველს წელს მას ჰქონდა გადაცემული წინად ყოფილის კომიტეტისაგან რაოდენიმე ფული, ასიოდ თუმნამდე. ეს ფული, როგორც გვახსოვს, ნახევარ სეზონში გამოილია და შემდეგ არავითარს ღონის-ძიებას არა ხმაროობდა სახსარი ეპოვნა და ცოტაოდე შესამჩნევი დახმარება აღმოეჩინა ქართულის სცენისათვის მისი დახმარება მარტო გარდეროობის და ბიბლიოთეკის თხოვებით თავდებოდა.

სდგებოდა ატრეპრიზები თითო ორის თთვის სიცოცხლით, იშლებოდა, სდგებოდა ამხანაგობა დასისა, ესეც თითო-ორის თვით და იშლებოდა, სცენა ბალაგანს ემსგავსებოდა, მასზე მოთამაშენი — აჭრელებულს გუნდს. ხელოვნება გაქრა. მეტად სამწუხარო მდგომარეობა იყო. ამ უკანასკნელ ორს ზამთრის სეზონს დაეტყო ცოტაოდე უკეთესობა, რადგანაც მრთელმა სეზონებმა შეუწყვეტლად დასის აუშლელ-დაუშლელობით გაიარა, შედარებით შარშანდელმა წლევანდელისაზე უკეთესის პიესებით; მაგრამ მაინც და მაინც სცენის ხელოვნება დიდს განსაცდელში იყო და არის.

სცენიდამ გადმოვიდეთ მაყურებელზე. რა სახით მოაკლდა და შემოეფანტა ხალხი-მაყურებელი. აღარა სჩანს ის გულ მხურვალედ მოსიარულე ხალხი, რომელსაც პირველ ხანებში ვხედავდით.

სასცენო მწერლობამაც მიიძინა, აღარ ვხედავთ ახალ ორიგინალურ პიესებს, ახალ თარგმნილებს, ან გადმოკეთებულებს.

არტისტები, ჩვენი სასიქადულო არტისტები შესდგნენ ერთს წერტილზე და წინ ბიჯი ველარ წასდგეს. ზოგს მათგანს აღარც კი ვხედავთ.

მიყუჩდა, მიუჩდა, გარინდული დევს ქართული თეატრი.

რას უშველის, რა დახმარებას მიაწვდენს მისი მზრუნველი და მცველი, ჩვენი დრამატიული საზოგადოება, ძნელი სათქმელია. ამ წელს ცოტაოდნად ამ საზოგადოებამ გამოიღვიძა ახალის მმართველობის მეცადინეობით. მაგრამ ეს მეცადინეობა ჯერ დაწყებაა; მისი შრომა და მოღვაწეობა უფრო მომავალ მყოობადს დროს ეკუთვნის და თან-და-თან უნდა იმატოს.

მეტად რთული, მრავალ-კერძი საგანი აქვს თეატრის საქმესა და ყოველის თვითოეულის მხრის ნაკლებულება ცუდად მოქმედებს სხვა დანარჩენ მხარებზე, მაგალითად, თუ პიესები ახალი და კარგი არ არის, რაც უნდა კარგი არტისტები იყვნენ და

ველმა ჯარმა და შეშინდა. ესრეთს დიდ ჯარს უეცრად არავინ ელოდა და წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, რადგან ერეკლეს ჯარი სამი ათას მეომარს არ აღემატებოდა. მაშინ მეფემ დანიშნა სამხედრო რჩევა და თათბირი. უმეტესობამ დაბრუნება არჩია, მაგრამ მეფე არ დათანხმდა და არ ინება დაბრუნება: „იცოდეთო, სთქვა ერეკლემ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავრჩებიო: ამალამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან, და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანი სიკვდილი სჯობსო; ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყენებთო“. რამდენიმე თავადი ემოწმა მეფეს და ამ სახით დაამტკიცეს ომი პირის-პირ აზატ-ხანის ჯარისა. მაშინ მეფემ თავის ჯარს დაჰხედა; აღმოჩნდა, რომ სამი ათასის ჯარის კაცთაგან ხუთასი ავად-მყოფი იყო, ხუთასიც მეფემ ბარგსა და ბარხანას მიუჩინა, ხუთასამდე თათრებიც რეულიყო ერეკლეს ჯარში, ამათ არ ენდო და განაცალკევა ჯარისაგან. დარჩა სულ ათას-ხუთასი ქართლ-კახელი. ამ ერთის მუჭა ჯარით მეფე დაიძრა პირ-და-პირ აზატ-ხანის ჯარისაკენ შესაბმელად. მცირე მანძილი რომ გაიარეს, მეფემ შეაყენა ჯარი, ჩამოხტა ცხენიდგან, მხურვალედ ილოცა, მერე მოუბრუნდა ჯარს და უთხრა: „ვინა ხართ ვაჟ-კაცი, ეს არის ჟამი გულოვნობისა; თავი ჩემი დამიდეია საკვდავად და მე აქედამ ხმალმოუქნეველ არ გავალო“.—ჯარმაც შეჰლრიალა მეფეს, რომ თვისს სიცოცხლეს არვინ არ დაზოგავსო. მეფემ კვლავ სთქვა: „შვილნო ჩემნო და ძმანო... ჩემთვის და ჩემის გაძლიერებისათვის იხოცებით და მე ღმერთთან დიდი მოვალე ვარო და **დდეს რაც მე გითხრათ, ის დამიჯერეთო და ხისხლსა თქვენსა მე ვინდობო**“. ჯარმა ერთ-ხმად შეჰვიცა მეფეს: „სისხლი ჩვენი თქვენთვის შემოგვიწირავს და თქვენს ნებას აღვასრულებთო“. მაშინ მეფემ უბრძანა ჯარს: «სანამ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენც ნურვინ შესხდებითო და სანამ ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენც თოფს ნურვინ ისვრითო». ჯარმა ერთობით აღუთქვა ნაბრძანების აღსრულება. მაშინ ერეკლე დაქვეითებული გაუძღვა **1,500** კაცს ჯარსა; ყველანი, მეფის მაგალითით, დაქვეითდნენ, ცხენები მიჰყავდათ აღვირით. ჯარი წყნარად, ნელ-ნელა მიდიოდა გათენების დროს პირ-და-პირ აზატ-ხანის ლაშკარზე და, სადაც უდიდესი დასტა იყო აზატ-ხანისა, იქით მიმართა მეფემ. ეს რომ გაიგეს აზატ-ხანის ბანაკში, ეუცხოვათ, არაფრად ჩააგდეს ერთი მუჭა ჯარი და მთელი ლაშკარი ოთხივე მხრით გარს შემოერტყა ქართლ-კახელებს, რომელნიც კვლავ ნელ-ნელა მიდიოდნენ წინ. შემდეგ შეჩერდა მეფე და მისი ჯარიც. მტრებმა ალყა შემოარტყეს ქართველებს და ისე დაუახლოვდნენ, რომ შუბი აღარ გაიმართებოდა მათ შორის. მტრებს უნდოდათ ერთობრივ ცოცხლად შეპყრობა ქართველებისა, რომელნიც თოფით ხელში ელოდნენ ერეკლეს ბრძანებას. ერთმა გაკადნიერებულმა აზატ-ხანის ხელ-ქვეითმა ხანმა მოახსენა შაჰს: «დასტური მეც, რომ წავიდე და მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვაო. მან ნება მისცა. ეს ხანი ცხენის ჭენებით შუბით ხელში მსწრაფლ დაუახლოვდა ქართველებს და ხმა მაღლა დაიძახა: „ჰამამან ჰანიერ ირაკლი ხან!“ (ესე იგი: სად არის ირაკლი მეფეო). მაშინ ერეკლე მკვირცხლად მოუბრუნდა მას და შეჰსძახა: „მე ვარ ირაკლი მეფე!“ და იმავ წამს გავარდა მეფის თოფი, მოხვდა გულში ხანს და გადმოვარდა ცხენიდგან, ერეკლეს წინ. ერეკლეს თოფთან ერთად იგრიალა ათას-ხუთასმა თოფმა ქართველთამა და მტერთაგანი ვინც ახლო იდგა, ყველა მიწაზედ გაიშალა, მაშინ მეფე მკვირცხლად შეჯდა ცხენზედ და ხმა მაღლა უბრძანა ხმალ-და-ხმალ დარეოდნენ მტრებს. ქართველთ ხმალს ხელი იკრეს და მიეტიენენ ზარ-დაცემულ მტრებს. შეჰკრთა აზატ-ხანის ჯარი. გაიქცა ეს დიდი ჯარი და სიდიდისაგან ძლიეს იძროდა მთიან ადგილში. დაერიენენ ქართველნი და ჰკაფეს ხმალ-და-ხმალ, 48 ვერსი ხოცვით უკან სდიეს, ამოსწყვიტეს დიდ-ძალი და განფანტეს და განაბნიეს დანარჩენნი. მთელი ბანაკი მეფეს დარჩა: 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი, თავისის ასის აქლემით, ორი ათას ხუთასი კარავი, ბევრი ბაირაღები, თვალ-მარგალიტი, ბარგი, ტყვეები და საქონელი იმდენი, რომ ქართველებს ზიდვა ვერ შეეძლოთ. ძვირფასს ქვებში ერეკლეს ერგო მსხვილი მარგალიტი აზატ-ხანისა, რომელსაც 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანი ერეკლესა სთხოვდა შესარიგებლად. დაღლილმა ჯარმა მოისვენა იქ, საცა ასეთი სახელოვანი ომი გადაიხადა. ერეკლეს დაუდგეს აზატ-ხანის მდიდრული კარავი. მოვიდნენ ხანები (ერევნისა, ნახჩევანისა და სხ.) და მოულოცეს გამარჯვება. ტფილისში მახარობელი გაჰგზავნეს. შეიქნა ლხინი და მეჯლიში ტფილისში მეფე თეიმურაზის (ერეკლეს მამა) სასახლეში, ქალაქი ჩირაღდნით და შადლუხით იყო განათებული და ბაზარი მორთული მრავალ-ფერად. ზარბაზნების სროლით მიწა ინძრეოდა და ქალაქი კომლისაგან აღარა სჩანდა.

გასაოცარი მხნეობა გამოიჩინეს ამ ომში თვით მეფემ და ზაალ ორბელიანმა.

ეგრი

კარგი მმართველი დირიჟორი ჰყავდეთ, თეატრს მაყურებელი მოაკლდება და საქმე არ წარიმართება. თუ პიესები კარგი და ახლებია, არტისტებიც კარგები არიან, და მმართველი არა ჰყავთ, საქმე ვერ იმუშავებს. და ასე ამ გვარად ყველა ამას დიდი გაძღოლა, ზრუნვა, მართვა, ფული, ფული და კიდევ ფული ეჭირება. როგორ მოახერხებს ჩვენი დრამატიული საზოგადოება ყოვლისაგე ამის თაოსნობას და დახმარებას, ეს ფრიად საზრუნველი და მოსაფიქრებელი საგანია.

სასურველი ერთია, რომ საზოგადოებამ კრებაში ღირსეულის ანგარიშიანის მოსაზრებით და განსჯით განიხილოს მომავალის წლის ანგარიში და მმართველობის მოწადინება.

ერთს ვიტყვით ჩვენს მოსაზრებას: თუ მართალია ის ხმა, ვითომც საზამთრო სეზონში საზოგადოებას განზრახვა აქვს ანტრეპრიზა იკისროს, ეს ამბავი მეტად დასაფიქრებელია და ვგონებთ საფათერაკოცა. ჯერ-ჯეროობით მრავალი რთული სამზადისი ეჭირება საზოგადოებას, ვიდრე ანტრეპრიზას იკისრებდეს.

ბ.

დაბა ლ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. მაღარო, (სიღნაღის მაზრა). მაღაროში 350 კომლი ითვლება; აქედან უნდა გამოირიცხოს 121 კომლი, რომელნიც 15 წლის განმავლობაში გადასახლებულან თავიანთ ტოლ-შვილით სხვა-და-სხვა ადგილას საცხოვრებლად, თუმცა კი დღესაც მაღაროსავე მოსარჯად ითვლებიან. ეს 121 კომლი რომ გამოვაკლოთ, მაღაროში 229 კომლი-ღა დარჩება.

ამ ათი წლის წინად მაღაროში სამი მღვდელი მსახურობდა. სოლო, რადგანაც უწინდელმა დიდის ხნის მოუსავლობამ ზემოთ მოხსენებული 121 კომლი განუანტა სხვა ადგილებში და დღესაც იქ სცხოვრობენ, რასაკვირველია, დანარჩენებს უძნელდებოდათ თავიანთ ტოლ-შვილიც გამოეკვებინათ, სახელმწიფო სარჯის გარდასახადსაც გასძღოლოდნენ და...

მაღაროელნი ჭსცხოვრობენ ორს ადგილს. შემოდგომით, ზამთრით და გაზაფხულობით თვით მაღაროში. ზაფხულობით კი ველმეჩურზედ, სადაც კალოები აქვთ, კალოები 4-ის ვერსის სიშორეზეა სოფლიდამ. არიან ისეთი მეკომურნი,—40-დან იქნება ამათი რიცხვი,—რომელნიც 12 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრებენ ხსენებულს ველმეჩურის კალოებზედ, რადგანაც სიღარიბის გამო ვერ შეიძლეს ორს ადგილს სახლკარის მოწყობა, მაღაროშიაც და ველმეჩურზედაც.

ველმეჩურზედ სალხს დიდად უმართავდა ხელსა ვაჭრობა. ველმეჩური ისეთი მარჯვე ადგილი იყო აღმოსავლეთის მხარის მოგზაურთათვის ტფილისისკენ, რომ დღე და ღამე აქ მგზავრი არ აკლდებოდა, ურემი ურემზე, ფურგონი ფურგონზე და აქლემის ქარვანი ქარვანზედ განუწყვეტლივ მოდიოდა და აქაურები ამათზე ასაღებდნენ თავიანთ ნაწარმოებსა: ქერს, ბზეს, თივას, შეშას, ბალახს და იღებდნენ ღამის სადგურების ქირასა; აგრეთვე ქალები ჭყიდდნენ რძეს, კვერცხს, მაწონს, ქათამს, წინდას, ბაჭიჭს, ქისას და სხვასა. ყველა ეს ისყიდებოდა და საღდებოდა ფასად. მაგალითებრ, მგზავრებზედ სამს კვერცხს ერთ შაურად ჰყიდდნენ.

ერთს ზაფხულს, კალოობის დროს, საზოგადოდ მოიფარავდეს შემდეგზედ: რადგანაც თითქმის მთელი ჩვენი სარჩოსაბადებელი აქ მოგვაქვს, საცა კალოები გვაქვს და დღეს დიდი სარგებლობაცა გვაქვს ვაჭრობისაგანთ, ბარემ ჩვენც სამუდამოდ მაღარდგან ველმეჩურის კალოებზედ გადმოვსახლდეთო, თუ მთავრობის მხრივ დაბრკოლება არ მოგვეცემა-რაო. თხოვნა მისცეს აგრეთვე აქაურს ბლაღოჩინს, იმის შესახებ, რომ რადგანაც, სამის თთვის განმავლობაში ჩვენ ვსცხოვრობთ ველმეჩურის კალოებზედ და უეკლესიოებით მოკლებულნი ვართ წირვა-ლოცვასა, ამისათვის ეკკლესიის აშენების ნება-რთვა მოგვეცეს, ვისგანაც ჯერ არსა.

არ გაუკლია ამის შემდეგ დიდს სანსა და ბაქოს რკინის გზა გაიმართა, რომლის წყალობით შესწყდა მოგზაურობა ველმეჩურზედ და ამასთან ვაჭრობაც, რომელიც ასეთს სარგებლობას აძლევდა აქაურებს. ამ მიზეზის გამო სალხმა უარი სთქვა, როგორც სამუდამოდ ველმეჩურზედ გადმოსახლებასა, აგრეთვე ეკკლესიის აშენებაზე, თუმცა კი სასულიერო მთავრობიდგან ნება-რთვა მიიღეს. ეკკლესიის აშენება დაეკვალთ მარტო ველმეჩურზედ მუდმივად მცხოვრებ 40 კომლს, ესენიც შეუდგნენ თადარიგს, ვალად აიღეს 100 მანათი, მოამზადეს ეკკლესიის ასაშენებლად მასალა და კიდეც ჩაეყარეს საძირკველი, იმ იმედით, რომ დანარჩენი მაღაროელებიც გულს მოიბრუნებდნენ და მონაწილეობას მიიღებდნენ. მაგრამ ველმეჩურელებს იმედი მსოლოდ იმედად დაჭრჩათ, საძირკველი საძირკვლად და ვალი ვალად: სხვები არავინ შამოეშველნენ...

გარდა ამისა დღევანდლამდის, ველმეჩურელებს მაღაროელებთან ერთად ჭყვანდათ მამასახლისი, მსაჯულები, ამბარდანი, სასოფლო მწერალი, გზირები, ტყის მცველნი, მეველეები, ეკკლესიის ყარაულები, მნათეები. სკოლას, ბურის მაღაზიას და ორ მღვდელს 225 კომლი ინასვდა...

ძ. სიღნაღი, 11 მაისს. 1884 წელს 24-ს სექტემბერს საღამოთი ქალაქის გალავანში თ. ლ. ვაჩნაძემ მოჭკლა ს. ნუკრიანელი მცხოვრებელი გლესი. ამ საქმის გარჩევა იყო დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებაში. ჯერ ათი საათი არ შესრულებულიყო, რომ სასამართლოს მოაწყდა აუარებელი სალხი. სასამართლოს დარბაზი ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსის კუნწი არ ჩაგარდებოდა. სასამართლოს თავს-მჯდომარემ ნება-უნებურად მრავალი სალხი დაითხოვა სასამართლოდამ. ამ საქმეზე ოცი მოწამე იყო მოწვეული. მოწამეთა შორის უველა ჯურის კაცი ერია: ქართველი, სომესი, ლეკი და თათარი. 11-ს საათზე, როგორც იყო, დალაგდა სალხი. მოწმენი დაათვიცეს. დათვიცების შემდეგ მსაჯულნი შეუდგნენ საქმის გარჩევას. მოწმეებს ცალ-ცალკე ჩამოართვეს ჩვენება. ოცი კაცი ერთ გვარად, რასაკვირველია, ვერ იმოწმებდნენ, მაგრამ საზოგადოდ კი ერთსა და იგივეს იმოერებდნენ.

თითქმის უველა მოწმებმა სთქვეს, რომ 24-ს სექტემბერს ბრალდებული და მოკლული ერთად ქეიფობდნენო, ქეიფის შემდეგ ორთავემ გაისეირნეს ქალაქის გალავნისკენაო. გალავანში სიცილ-სუმრობით დადიოდნენო. ორივენი საშინელი მთვრალები იყვნენო. გალავნის ბაღებს რომ გასცილებიან, რადაცაზე მოსვლიათ ჩხუბი. ჩხუბმა დიდხანს არ გასტანა თურმე. ორ ალაგას დაჭრილი ნუკრიანელი გლესი დაცემულა გზის პირას და ლ. ვაჩნაძე გასისხლიანებულის სანჯლით (ბებუთი) ხელში დაშვებულა ს. ვაქირისკენ. იქ მას სოფლის დუქანში გაუთევია ღამე და მეორე დღეს თვითონ გამოსცხადებია პოლიციას და გამოუცხადებია თავისი საქმე.

მოწმეებისაგე ჩვენებიდამ სჩანს, რომ ხანჯალი (ბებუთი), რომლითაც მოჭკლა ლ. ვაჩნაძემ ნუკრიანელი, ეკუთვნოდა თვით მოკლულს და ლ. ვაჩნაძეს 2 სექტემბერს თან არავითარი იარაღი არა ჭქონია. ბებუთი ნუკრიანელს ყოველთვის წუსტის ყელში ჭქონდა შენახულიო. მოწმების ჩვენების შემდეგ იფარავა ბრალდებულის მცველმა ბ-ნმა ნასიძემ. შემდეგ სასამართლოს თავს-მჯდომარემ ჭკითხა ბრალდებულს, თავის თავს დანაშაულად რაცხს ამ საქმეში, თუ არა? ბრალდებულმა მეტად გულ-საკლავის ხმით წარმოსთქვა!

— ბბ-ნნო მსაჯულნო, სვინიდისი მქენჯნის და ვწუხვარ რომ მე ჩავიდინე მკვლელობა, მაგრამ რა დროს, როგორ და რისთვის, ჩემდა საუბედუროდ, არა მახსოვს-რა.

ამის შემდეგ მსაჯულნი გავიდნენ სათათბიროდ. მთელი სათ-ნახევარი ელოდნენ მაყურებელნი მათ გამოსვლას. მანდილოსანთ (რომელნიც ერივნენ მაყურებელთა შორის) მომეტებული მოუთმენლობა ეტყობოდათ. აგერ გაიღო კარები, გამობძანდნენ მსაჯულნი და წაიკითხეს დადგენილი განაჩენი.

თ. ლ. ზ—ძე ვაჩნაძე მკვლელი ნუკრიანელის გლესისა გაიგზავნოს ირკუტსკის გუბერნიაში, ორი წელი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყოს და შემდეგ იცხოვროს ციმბირში, ანუ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში.

— კმაყოფილი ხართ თუ არა? ჭკითხა თავს-მჯდომარემ ბრალდებულს?

— დიდად გმადლობთ, ბატონებო. ამას კი გთხოვთ, რაც შეიძლება, მალე განმაშოროთ დაწუეკლილ სიღნაღის საპყრობილეს, მომბეზრდა იქ ყოფნა...

თუმცა თანხმობა გამოაცხადა ბრალდებულმა განაჩენზე, მაგრამ შემდეგ, ნათესავ-ნაცნობთა რჩევით გამოაცხადა, რომ საქმეს სამოსამართლო პალატაში გარდავიტანო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი პარიკიდამ. აი ამ წერილის ავტორი რას ამბობს:

დღეს საფრანგეთს თუ არა ჰსურს ომი (რასაკვირველია, იგულისხმების—გერმანიასთან), ომისა მაინც არ ეშინიანო. საფრანგეთის ერი ისეა მომზადებული, რომ, თუ ომი ასტყდა, ეხლა უფრო მეტს სიმხნევეს და ძალას გამოიჩენს, ვიდრე 1870 წელსაო. ჯარები ხომ ისე ჰყავს გაწვრთნილი და მომზადებული, რომ გერმანიას არასოდეს უკან არ ჩამოურჩებაო.

საფრანგეთის სუსტს მხარეს, წერილის ავტორის სიტყვით, მხოლოდ დიპლომატია შეადგენს.

დიპლომატია არ უვარგა საფრანგეთსაო, ამბობს წერილის ავტორი,—ამიტომ საფრანგეთს რიგიანი განწყობილება არა აქვს სხვა სახელმწიფოებთან და სრულიად განცალკევებულიაო.

ეს, რასაკვირველია, სანუგეშო არ არის საფრანგეთისთვის მით უფრო, რომ საფრანგეთის დაუცხრომელს მტერს, გერმანიას დიდი ხმა აქვს ევროპაში და თითქმის ყველა სახელმწიფო ბანს აძლევს და მის ხმაურობას აყოლებს ფეხსა.

* * *

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ რუსეთში მოედანზედ გამოდის ერთ გვარი ბაზაზხანური ლიტერატურა, რომლის წარმომადგენლად საყმაწვილო ჟურნალი «Задушевное Слово» ითვლება. მართლა და ძნელი წარმოსადგენია, სადამდინ შეუძლიან მიაღწიოს კაცის ურცხვობამ და სინიდისზე ხელის აღებამ, როდესაც ამ გვარ საქმეში, როგორც უმაწვილების აღზდაა, ბაზაზხანური ჩარჩობ-ვაჭრობა ჩაერევა. აი გაზეთ «Еженедѣльное Обозрѣніе»-ს რა საუცხოვო მაგალითი მოჰყავს—ჟურნალ «Задушевное Слово»-ს რედაქცია ერთს წერილზე შემდეგს პასუხს იძლევა:

> ჟურნალის რედაქცია დიდად მოხარულია, რომ პაწია ზინა ზვირად სწავლობს უველა ლექსებს, რომელიც ჩვენს ჟურნალში იბეჭდება. ესეთი ბეჯითი მეცადინეობა და შრომა დიდის ქებისღირსია, საჩუქრის მიცემა კი ამის გულისთვის რედაქციას არ შეუძლიან!

როგორ მოგწონთ? უსუსური უმაწვილი საჩუქარსა თხოულობს იმის გულისთვის, რომ ლექსებსა სწავლობს! მშობლებს გულს არ უმდვრევს ამ გვარი საქციელი; ესენი პირ-იქით ხელს-უწყობენ და ამ ნაირ წერილებს აწერინებენ რედაქციაში. პატიოსნურად იქცევა აგრეთვე რედაქცია: იმის მაგიერ, რომ გაჰკიცხოს ეს საძაგელი საქციელი, ის, პირ-იქით, ქების ღირსად სთვლის და საჩუქარს არ უგზავნის წერილის ავტორს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიბეს შეეხება. სად-ღაა ელემენტარული პედაგოგიური მოთხოვნილება? მშობლებიცა და რედაქციაც ერთიერთმანეთის ღირსნი არიან!

რენანის სიტყვა.

4 მაისს პარიკის სტუდენტების ამხანაგობამ წვეულება გამართა. წვეულების დროს ყველაზედ საყურადღებო რენანის სიტყვა იყო. სიკვდილის მოახლოვების შიშს ბრწყინვალე მწერალზე უმოქმედნია, ალაგ-ალაგ მისი სიტყვა სავსეა ნაღვლითა და მწუხარებით. სოლო ჩვეულებრივად, დიდებულმა მწვერ-მეტყველმა თავის სიტყვა ახალგაზდობის მიმართ ისე შეასამა პოეტურად, ისე გაამეურადა, როგორც ყოველთვის იცის სოლმე. მან თავისებურად აღმა-თვრენილის აზრით განარკვია საგნები იმ რჩევისა და დარიგებისა, რომელსაც ჭაღარა შერთული და დაბრძენებული მოსუცებულობა გამოუცდელ ჭაბუკობას აძლევს სოლმე. მოგვაგონებს ეს სიტყვა შეუმოკლებლივ.

«ბატონებო! გმადლობთ რომ მომიწვიეთ, გამეტარებინა თქვენთან დრო სასიამოვნო ბაასით. ჩვენი დღესასწაული უფრო სრული იქნებოდა, თუ თქვენი მასწავლებლებიც დასწრებულიყვნენ ამ ნადიმს და არ ყოფილიყვნენ თქვენზე უმაყოფილონი იმ უწესობათა გამო, რომელშიაც თქვენ დამნაშავენი არა სართ და მონანწილეობა არ მიგიღიათ*). მე ამაზედ გულითა ვსწუხვარ; მაგრამ ერთის მხრით-კი ჩემთვის კარგია, თქვენ მე მეკუთვნით, თქვენი სრული ყურადღება შეგიძლიანთ მე მომაპყრათ. თქვენი სიჭაბუკე მე მათბობს და მასულდგმულებს. სასიამოვნოა, როდესაც ერთეს მხრით თვნჯარა იხურება და მეორის მხრით იღება! მე ყოველთვის კამბობ: ნეტარ არს სიჭაბუკე! მას ცხოვრება კიდევ წინ უდევს. იმ სკოლის წესდების ორის მუხლისაგან, რომელიც ამბობს: ბევრი იშრომე, ბევრი სიტკბობა იგემეო, მე მარტო პირველი მრწამდა. როცა სხვები გართობასა და მსიარულებას ეძლეოდენ, მე ვშრომობდი, ის დრო ჩემთვის ცხარე შრომის დრო იყო. იქნება ვცდებოდი, მაგრამ ამის გამო სიბერის დროს პირ-მქუშ კონსერვატორად და მტკიცე ზნეობის დამცველად არ გადავიქეცი და თავაზითა და პატივით ვეპურობოდი სხვა-და-სხვა რწმენების სალხს. ეს არის მიზეზი, რომ ზნეობის მტკიცე დამცველთ ზნეობის უარ-მყოფელად მიგაჩნივარ. ვინ იცის, იქნება უფრო კარგი ყოფილიყო, რომ სიჭაბუკის დრო მსიარულებასა და შექცევაში გამეტარებინა, და ჩემს ქეიფზე მეძღერნა ძველებური Gaudeamus-ი.

რაც უნდა იყოს, ის კი საეჭვო არ არის, რომ თქვენს სანში ერთი მეორეს არ უშლის და შრომა და შექცევა ერთმანერთში ადვილადა თავსდება.

დიდ, იშრომეთ, იშრომეთ შეუსვენებლივ, მაგრამ იმსიარულეთ კიდეც, დროც გაატარეთ; ნურასოდეს ნუ დაიღლით თავს. კაცს ორი რამე ჭღლის: მეტისმეტი ძალ-დატანება, ნაძალადობა და იმისთანა ტვირთი, რომლის ტარების ღონეც კაცს არ შესწევს. დეე, აზრი თავის თავად, თავის ბუნებრივ სამოსელით დაგებადოთ, ეს სამოსელი სიტყვაა; ძალად ნუ მოუწოდებთ, ნუ აარჩევთ. მე მინდა რამდენიმე რჩევა მოგცეთ. ერთი მუშაობა რომ გაათავოთ, მეორე დაიწყეთ და ეს მეორე მუშაობა დასვენება იქნება. სამუშაოდ სხვა-და-სხვა გვარი საგნები აირჩიეთ; და როდესაც თქვენის ტვინის ერთი ნაწილი ერთის საქმით არის გართული, მეორე ნაწილი მოსვენებული რჩება და შეუძლიან სხვა სასარგებლო საქმე გააკეთოს. მე მაგონდება მშვენიერი სიტყვები, რომელიც პირველის საუკუნის ერთ მოხუც რაბინს უთქვამს. მას ემდურებოდნენ, რომ მეტის-მეტად ავსებ კანონის ჭურჭელსაო და გინდა შიგ მრავალი ბრძანება ერთად მოათავსოთ. «კაცი ორ გავსებულ ქვევრშია,—სთქვა თურმე პასუხად, რაბინმა—შეგიძლიანთ კიდევ რამრამდენიმე თუნგი ქუნჭუთის ზეთი ჩააასხათო». რა კარგად არის ნათქვამი! დიდ, ერთსა და-იმავე დროს შეიძლება სხვა-და-სხვა საქმე გააკეთოს კაცმა, თუ ორ საქმის შუა დარჩენილს თავისუფალს დროს რიგიანად მოიხმარებს. მარტო იმას კი არა ჭქვიან მუშაობა, რომ საწერ სტოლს უჯდე მთელი დღე. უნდა შეიძლოთ ყოველთვის შრომა, ანუ, უფრო სწორედ რომ გსთქვათ, ისე მოახერხოთ, რომ დასვენება და შრომა ერთი-ერთმანეთს არა მორდებოდეს. როდესაც ლაპარაკობთ და ეს ლაპარაკი სრულს თქვენ ყურადღებას არ იპყრობს, ყური უგდეთ თქვენის აზრების დენას; აგრეთვე მოიქეცით, როცა სეირნობთ, რაცა სადილობთ, და ასე მუდამ.

თქვენს ცნობის-მოყვარეობას ნუ შეზღუდავთ, სამზღვარს ნუ დაუდებთ; ისწრაფეთ, ყველაფერი გაიგოთ და შეიტყოთ, რაც-კი გასაგები და შე-

---

*) რენანი ამ სიტყვით იხსენიებს ერთ პარიკის სასწავლებელში მომხდარს უწესოებას.

სიტყვაზი შეგხვდეთ; მაგ ცნობის-მოყვარეობას თითონვე, თავის-თავად დაედება სამზღვარი. აი რა მშურს თქვენი: კაცობრიობის ისტორიაში უპირატესობა იმასა აქვს, ვინც ყველაზედ ბოლოს მოდის. რამდენ რამეს შეიტყობთ თქვენ, რომელთ შეტყობა ჩვენ არასოდეს არ გვეღირსება! რამდენი აუხსნელი და ბნელი საგანი იქნება თქვენთვის ახსნილ-განათებული, რომელთ ასახსნელად სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, თუ საჭირო იქნებოდა! დაიხსნის თავს ხალხი იმ გაჭირვებისაგან, რომელშიაც ეხლა იმყოფება? ახსნიან როგორმე პრაქტიკულად იმ სოციალურ საგნებს, რომელთ ახსნასაც ამაოდ ეცადნენ XIV და XV საუკუნოებში, თუ ისევ ისე აუხსნელად დარჩებიან? როგორი იქნება ქვეყნიერობა 1920, ან 1930 წელს? რა აზრისანი იქნებიან მეცნიერნი გვარ-ტომობასა, ნათესაობასა, თვითეულ კერძო კაცსა, ცხოვრებასა და სინიდისზე? ვინ იცის, რა საკვირველსა და გასაოცარ გამოკვლევას ისტორიისას მოესწრობით, თუ ეხლანდელნი მშვენიერნი ნაწერები გამრავლდნენ. ორმოც-და-ათ წელ შემდეგ ბაბილონის ლიტერატურას, ვინ იცის, რამდენი ათი და ოც წიგნი მიემატება და თქვენ იმ წიგნებს წაიკითხავთ. ეხლა ჩვენ ორი ზედ-წარწერა გვაქვს ებრაული, რომელიც უნათებს საწყალ ისტორიკოსს წყვდიადით მოცულს ძველს დროს. თქვენ იქნება იმ დრომდე იცოცხლოთ, როცა ამ გვარი წარწერა ოცი და ორმოცი აღმოჩნდება. აი ბედნიერება, რომელიც თქვენ იქნება ფიქრადაც არ მოგსვლიათ. რა მშურს, რომ ყველა ამას თქვენ დაესწრობით და მე არა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ორმოც-და-ათის წლის შემდეგ გაცოცხლება შემძლებოდა.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

19 მაისს

პეტერბურგი. გუშინ შეადგინეს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა მემკვიდრე ცესარევიჩი და უაგგუსტოესნი შენი ხელმწიფისანი მიბრძანდნენ გატჩინოს.

ლონდონი. გაზ. „Times“-ის სწერენ, რომ საბერძნეთის ნაპირებს არ მოაშორებენ ხომალდებს იქამდე, ვიდრე საბერძნეთი თოფ-იარაღს არ აიყრის და ვიდრე ყოველივე შიში არ განქრება ევროპისათვისაო. ევროპა სთხოვს საბერძნეთს, დამარწმუნე, რომ შემდეგშიაც იმ პოლიტიკას არ გადაუხვევ, რომელიც მაშინ დაიწყე, როცა ბრძანება გამოაცხადე თოფ-იარაღის აყრის თაობაზედაო.

20 მაისს

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრის მიმართ, რათა გამოცემულ იქმნას ხუთ-სარგებლიანი, სახელმწიფო, რკინის-გზის, შეუწყვეტელ-შემოსავლიანი რენტა ასის მილიონის მანათისა ქაღალდის ფულით. ხელის მოწერა იქნება 23, 24 და 26 მაისს სახელმწიფო ბანკსა და ყველა მის კონტორებსა და განყოფილებაში. ხელმოსაწერი ფასი არის 99½%.

ლონდონი. ჩემბერლენის დასი, რიცხვით 52 კაცამდე, შეიკრიბა და 45 ხმის უმეტესობით დაადგინა წინააღმდეგი იყოს ირლანდიის კანონპროექტისა იმაზედ, რომ ამ დადგინებას მოჰყვება დამარცხება მთავრობისა ანუ სამინისტროსი და პარლამენტის დათხოვნაო.

ათინა. ახალმა მინისტრმა გარეშე საქმეთამა დრაგუმისმა დაჰგზავნა ცირკულიარი და წინააღმდეგობას აცხადებს იმის გამო, რომ საბერძნეთის ნაპირები შეკრულია.

კატანია. ნაცარ-ტუტი სულ 450 მეტრის მანძილზეა ქალაქიდამ. მცხოვრებნი გაიქცნენ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7394.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები - 3.

ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა — 1 ივნისს, ამავ თთვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის

21 დღე ოთხშაბათი. წმ. მეფეთა კონსტანტინე, ელენასი. სახელ-წოდება მ. უმ. კონსტანტინე ნიკოლაევიჩ 59 წლისა, კონსტანტინ კონსტანტინოვიჩ 28 წლ, შობა მ. უმ. ალექსანდრა პეტროვნასი. კათ. დონატისა. ვალენსისა და ვიქტორიასი. მუს. მე-30 დღე შააბანისთთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა, ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—42. ტფილისში მზე ამოდის 4—27; ჩადის 7—29. მთვარე ამოდის 4—50 ღ. ჩადის 6—51 ნღ.

22 დღე ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა. მოწ. ვასილისკესი. სომეხ. ამაღლება ქრისტესი, აგრეთვე ფრანგთა. მუს. 1 დღე რამაზანის თთვისა და 1 დღე „რამაზანის“ მარხვისა.

პირველად გაიხსნა სამტრედიასა და ბათუმს შუა რკინის გზა (1883 წ.).

ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—52. ტფილისში მზე ამოდის 4—27; ჩადის 7—30. მთვარე ამოდის 5—41, ჩადის 7—54.

23 დღე პარასკევი. ღირ. მიხაილ ალმასარეპელისა, კათ. ეპისკ. დეზიდერიასი. გენერალ-ლეიტენანტმა კნორინგმა დააწესა უზენაესი გამგეობა საქართველოს მართვისათვის ტფილისში: (ოთხი მდივან-ბეგი ქართლიდგან და ოთხი კახეთიდგან) და ორი კერძო გამგეობა თელავში კახეთისათვის და გორში ქართლისათვის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—02, ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30; მთვარე ამოდის 6—36, ჩადის 8—53.

24 დღე შაბათი. სვიმეონ მესვეტისა. კათ. პავლესი და იოანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—13, ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 7—38, ჩადის 9—46 ღ.

25 დღე. კვირა. მესამედ პოვნა თავისა წმ. ივანე ნათლის-მცემელისა, სომ. მეორე ბზობის კვირა, კათ. გრიგოლი VII პაპისა და ურბან პაპისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—23, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 8—40, ჩადის 10—34 ღ.

26 დღე ორშაბათი. წმ. მოც. კარპესი. კათ. ფილიპესი და ალიციისა.

ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—34, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32; მთვარე ამოდის 9—50, ჩადის 11—15 ღ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1-ლ ივნისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.		5 კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა	.	2½ ›
› › 2	›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	.	4½ ›
› › 2—		3 ›
› › 3	›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	. .	4½ ›
მე-2 ხარისხისა	. .	3½ ›
მე-3 —	. . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.		8 ›
› 2	›	7 ›
სუჯი	. . .	14 ›
ცხვრის ხორცი	. . .	8 ›

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის— — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის— — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 დ წ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კავკავ შუა.

პირ-და-პირ მსვლელნი დამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ
კავკავიდამ გამოდის 9 ს. დილით.
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდემიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია
ფასი 60 კაპ.

საქართველოს საეკლესიო ისტორია
ფასი 45 კაპ.

მერცხალი
ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა ათ შაურად.

(10 - 3)

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ მმართველობის თავსმჯდომარე, წესდების მე-13 მუხლის თანახმად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთა, რათა ინებონ და მობრძანდნენ ამ თთვის ოც-და-ორს, ხუთშაბათს, დილის 11 საათზედ, ქართული (არწრუნისეულ) თეატრის დარბაზში, საგანგებო ყრილობის შესადგენად.

ყრილობას წარედგინება მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის დამტკიცება.

ამ ყრილობაზედ ხმა ექმნება მხოლოდ იმ წევრთა, რომელნიც ყრილობამდის წლიურ საწევრო ფულს გადაიხდიან. (4 - 3)

არ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.

(5—4)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-დასხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებ ას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(20—5)

Дозволено цензурою Тифлисъ 20 Мая, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.